სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თეონა კობიაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	89	100

თარიღი:

09.12.2024

საქართველოს საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თეონა კობიაშვილის შეფასების დასაბუთება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 35[1] მუხლის თანახმად განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლის და კომპეტენტურობის მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციასა და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ზოგადი ინფორმაცია: კანდიდატი დაბადებულია 1986 წლის 26 მაისს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, აქვს სპეციალობით მუშაობის 16 წლის გამოცდილება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით კეთილსინდისიერების კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

1. *<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:</u>*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი

შეგნება, შეგნება, გამჭირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. თეონა კობიაშვილს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი. კანდიდატის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობას. კანდიდატს ახასიათებენ როგორც გულისხმიერ, მიზანდასახულ, ობიექტურ, ჰუმანურ, პრინციპულ, შრომისმოყვარე, პატიოსან, კომპეტენტურ, თავმდაბალ, პასუხისმგებლიან და ეთიკურ პიროვნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. *<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:</u>*

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი. მოპოვებული და გასაუბრებაზე მიღებული ინფორმაციით არ დგინდება რაიმე საფუძველი კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარისა და მისი მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენებისათვის. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერების და მიუკერძოებლობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა:</u>*

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით კანდიდატი მონაწილეობდა საკონსტიტუციო სასამართლოში, მოსარჩელის სტატუსით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (I კოლეგია) 2014 წლის 12 სექტემბრის N1/4/582 განჩინება. დავის საგანს წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2014 წლის 5 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უკვე დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ითვლებოდა დროებით მოვალეობის შემსრულებლად შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე. 2014 წლის 29 მაისის N2479 კანონით სადავო ნორმამ იურიდიული ძალა დაკარგა (ამოღებული იქნა კანონიდან), შესაბამისად, სამართალწარმოება შეწყდა. ამის გარდა სხვა შემთხვევაში კანდიდატი არ ყოფილა მხარედ ან დაზარალებულად წარმოდგენილი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის კეთილსინდისიერებაზე, გულისხმიერებაზე, ობიექტურობაზე, ჰუმანურობაზე, პრინციპულობაზე, შრომისმოყვარეობაზე, პატიოსანებაზე, თავმდაბალობაზე. რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტეზე არ მიუთითებენ. გასაუბრების შედეგად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ის არის საკმაოდ გაწონასწორებული და მშვიდი, რომელსაც შეუძლია მართოს საკუთარი ემოციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:</u>*

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

რეკომენდატორები გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, შრომისმოყვარეობას და კომპეტენტურობას.

წარმოდგენილ მასალებში არ მოიპოვება რაიმე ინფორმაცია, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის რეპუტაციასა და ავტორიტეტს.

შესაბამისად, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 25 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 25 ქულა;

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 20 ქულა;

დ) პროფესიული თვისებები - 15 ქულა;

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 10 ქულა;

ვ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. *<u>სამართლის ნორმების ცოდნა:</u>*

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე, აგრეთვე, კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სამართლის ნორმებს და კანონმდებლობას. კანდიდატის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მისი საერთო შეფასებით, რომლის თანახმად <u>სამოქალაქო სამართალში</u> თეონა კობიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მრავალმხრივ შესწევს უნარი პრაქტიკაში გამოიყენოს იგი. აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი. ახასიათებს არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად კორელაცია და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით ზუსტად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. <u>ადმინისტრაციული სამართალში</u> თეონა კობიაშვილს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას, აქვს სამართლებრივი ანალიზის ძალიან კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად, თანმიმდევრულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. <u>სისხლის სამართალში</u> თეონა კობიაშვილს, აქვს კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. შესაბამისად აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, რაც ეხმარება დაკისრებულ სამუშაოს ზუსტად და ხარისხიანად შესრულებაში. ასევე სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შრომისმოყვარეობის ხარჯზე სამუშაოს დატვირთვას კარგად უმკლავდება. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გასაგებად და მარტივად აქვს გადმოცემული აზრი. მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის

უნარ-ჩვევები. შესწევს შეცდომის აღიარების უნარი და მუდმივად სწრაფვა მეტის სწავლებასა და განვითარებისათვის. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ამდენად, შეფასების თანახმად, თეონა კობიაშვილი საერთო ჯამში შეფასებულია კარგად, განსაკუთრებით მისი სპაციალიზაციის - ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

კანდიდატის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ასევე ვიხელმძღვანელე გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებით - კანდიდატმა თითქმის ყველა შეკითხვას გასცა პასუხი, თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით დასმული შეკითხვების მიმართ გამოავლინა კარგი ცოდნა, მსჯელობისას იყო თანმიმდევრული და კალიფიციური. გასაუბრებისას წამოჭრილ ყველა საკითხს გასცა პასუხი. კანდიდატის პასუხები ძირითადად იყო სამართლებრივი თვალსაზრისით სწორი და საფუძვლიანი.

ვინაიდან კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების არმქონეა, მხედველობაში მივიღე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომელიც ძირითადად პოზიტიურია.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 23 ქულით.

2. *<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:</u>*

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებაზე დაყრდნობით, კანდატიის შეფასება ამ მახასიათებელთან მიმართებაში ძირითადად პოზიტიურია. გასაუბრების პროცესში დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხები ძირითადად იყო დასაბუთებული. თითქმის ყველა შეკითხვას გასცა პასუხი, შეძლო ემსჯელა საფუძვლიანად და ამომწურავად. საუბრისას წარმოაჩინა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. დაუგროვდა სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება, მანამდე კი მუშაობდა თბილისის მერიაში, რაც დამატებით გამოცდილებას სძენს მას. შეფასების თანახმად აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას, აქვს სამართლებრივი ანალიზის ძალიან კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად, თანმიმდევრულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 23 ქულით.

3. *<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი:</u>*

წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ვინაიდან, კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები/ნაშრომები, დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასებებს, რომლის მიხედვითაც კანდიდატის წერის უნარი შეფასებულია საკმაოდ პოზიტიურად. შეფასების თანახმად აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, შეუძლია არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა, მის მიერ მომზადებული სასამართლო აქტების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებდა მშვიდად და გამართულად. ყველა დასმული შეკითხვის შინაარსი გაიგო და აღიქვა სწორად და ადეკვატურად, აზრს გადმოსცემდა არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. მიმაჩნია, რომ შესწევს როგორც სხვისი, ასევე განსხვავებული აზრის მოსმენის უნარიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატის წერის უნარს ვაფასებ 18 ქულით.

4. *<u>პროფესიული თვისებები:</u>*

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, თავაზიანობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

ხელთარსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი ანალიზის უნარი. როგორც შეფასების შესწავლის შედეგად, ასევე გასაუბრებისასა შემექმნა შთაბეჭდილება, რომ აქვს უნარი აზრი ჩამოაყალიბოს დამოუკიდებლად, მკაფიოდ და გასაგებად. შეფასების მიხედვით კანდიდატი არის გულისხმიერი, მიზანდასახული, ობიექტური, ჰუმანური, პრინციპული, შრომისმოყვარე, პატიოსანი, კომპეტენტური, თავმდაბალი, პასუხისმგებლიანი და ეთიკური პიროვნება.

შეფასების მიხედვით კანდიდატისადმი გაცემულია რეკომენდაცია, რომ მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

მიმაჩნია, რომ იმ დადებითი მახასიათებლების და გამოცდილების გათვალისწინებით, რაც კანდიდატს გააჩნია, მითითებულ ხარვეზს კანდიდატი მარტივად აღმოფხვრის.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატის პროფესიულ თვისებებს ვაფასებ 13 ქულით.

5. *<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:</u>*

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრეინიგში/სემინარში, მათ შორის: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით); პრაქტიკული ფსიქოლოგია; საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონიდან გამომდინარე შრომითი დავები და სასამართლო პრაქტიკა; გადაწყვეტილების შედგენა და დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში; ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები; საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო დავების განხილვა; თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (სამოქალაქო/ადმინისტრაციული).

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 8 ქულით.

6. *<u>პროფესიული აქტივობა:</u>*

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო ტერნინგსა და დონისძიებაში.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის აქტიური.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 4 ქულით.

<u>კანდიდატის საბოლოო შეფასება:</u>

კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 89 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი რევაზ ნადარაია

თარიღი:

09.12.2024 წ.